ბლუმის გვირილა გეოგრაფიის გაკვეთილზე

ავტორი: მანანა სეხნიაშვილი

პედაგოგები ხშირად აღნიშნავენ, რომ მოსწავლეებმა არ იციან კითხვების დასმა. უფრო სწორად, მათ მიერ დასმული კითხვები მარტივია და მხოლოდ ფაქტების ცოდნის შემოწმებას ეფუძნება. თუ ვიცით, რომ თითოეული სახის კითხვა მოიცავს აზროვნების ერთ-ერთ მხარეს, შეგვიძლია ვაკონტროლოთ როგორც საკუთარი, ასევე ჩვენი მოსწავლეების აზროვნება, რათა მათი ინტელექტუალური პოტენციალი სრულყოფილად გავააქტიუროთ.

ძალიან მარტივ შეკითხვაზე პასუხად შეიძლება მივიღოთ მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია, ხოლო რთულზე – არაორდინარული და ფართო.

როგორი კითხვებია მარტივი ან რთული?

კარგი კითხვაა ის, რომელიც წარმოშობს პასუხის ფართო ალტერნატივას. გამოყოფენ კითხვების რამდენიმე ფუნქციას:

* კითხვის დახმარებით შეიძლება გავიგოთ ახალი ინფორმაცია.

* სწორად დასმული კითხვის საშუალებით არსებულ ინფორმაციას ვაზუსტებთ.

* კითხვა შეგვიძლია გამოვიყენოთ სხვა თემაზე გადასასვლელად.

* კითხვის საშუალებით შეიძლება გამოვხატოთ ჩვენი აზრი, დავაფიქსიროთ საკუთარი პოზიცია.

* სწორად დასმული კითხვა სწორ პასუხს კარნახობს.

სწორედ კითხვები მართავენ ჩვენს შემეცნებით აზროვნებას, რასაც პრობლემის გადაჭრისკენ მივყავართ და შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს.

ბევრი პედაგოგი განსაზღვრავს მოსწავლეთა აზროვნების დონეს იმის მიხედვით, თუ როგორ და რა კითხვებს სვამენ ისინი. ადამიანთა უმრავლესობა პრიმიტიული კითხვებით შემოიფარგლება. სააზროვნო კითხვის დასმის უნარი არის ის, რასაც სასწავლო პროცესში უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ის, ვისაც შეუძლია კითხვების დასმა, უკეთესად ახერხებს სივრცეში ორიენტირებას, ვიდრე ის, ვისაც სააზროვნო კითხვების დასმა არ ძალუძს.

სწავლებისადმი ახალი მიდგომები მიზნად ისახავს საყოველთაო საგანმანათლებლო საქმიანობის ფორმირებას, რაც აუცილებელია ინდივიდუალური განვითარებისთვის, ისეთი პიროვნების აღზრდისთვის, რომელიც მუდამ მზადაა თვითგანათლებისთვის, მიზნების დასახვისა და მათი მიღწევის გზების ძიებისთვის.

კრიტიკული აზროვნების უნარი არის ინფორმაციის ანალიზის, სწორი გადაწყვეტილებების პოვნისა და სტანდარტული და არასტანდარტული სიტუაციების, საკითხებისა და პრობლემების გადასაჭრელად მიღებული შედეგების გამოყენების უნარი.

რამდენიმე რჩევა კითხვების დასმისთვის პირობების შესაქმნელად

* ნუ აქცევთ ტრაგედიად, თუ მოსწავლე ვერ პასუხობს კითხვას. ეს ნორმალურია, რადგან ის ბავშვია და ის სწავლობს. მასწავლებელი იმისთვისაა მის გვერდით, რომ დაეხმაროს.

* დასვით მეტი შემოქმედებითი კითხვა, რომლებსაც შეიძლება რამდენიმე სწორი პასუხი გაეცეს და გააგრძელოს დიალოგი.

* მიზანშეწონილია კითხვების დასმის დაწყება სიტყვებით: “სხვათა შორის... საინტერესოა, რომ...”

* გაუზიარეთ მოსწავლეებს თქვენი პრობლემები, რეალური და არა გამოგონილი.

* კითხვები, რომლებიც იწყება სიტყვით “რატომ”, მოსწავლეს თავდაცვისკენ უბიძგებს.

* ახალი მასალის ასათვისებლად დაავალეთ მოსწავლეებს კითხვების ბანკის შექმნა.

გთავაზობთ მოსწავლეებისთვის კითხვების დასმის უნარის განსავითარებლად გამოსადეგ რამდენიმე მეთოდს.

მარტივი და რთული კითხვები

ეს ტექნიკა საკმაოდ მარტივია. ცხრილი შედგება ორი სვეტისგან:

მარცხენა სვეტში ჩამოვწერთ რთულ კითხვებს. ესენია კითხვები, რომლებზეც პასუხები შეიძლება იყოს დეტალური, უფრო სრულყოფილი და ვრცელი. მაგალითად, "რა ფაქტორებმა მოახდინა გავლენა დედაქალაქის მშენებლობისთვის ამ ადგილის არჩევაზე?"

მარჯვენა სვეტში კი მარტივი კითხვებს ჩამოვწერთ. ამ კითხვებზე პასუხები, წესისამებრ, ერთმნიშვნელოვანი, მოკლე, ფაქტობრივია. მაგალითად, "რომელია თქვენი საყვარელი დღესასწაული?"

მეთოდი გამოიყენება შემდეგ სასწავლო სიტუაციებში:

* **ურთიერთგამომრიცხავი დიალოგების მოდელირება.** მოსწავლეები შესასწავლი თემის შესახებ ერთმანეთს უსვამენ 2-3 მარტივ და რთულ კითხვას.

* **ახალი თემის შესწავლისას.** შეგიძლიათ სთხოვოთ მოსწავლეებს, ჩამოაყალიბონ კითხვები, რომლებიც გაუჩნდათ და ჩაწერონ ცხრილში. ეს მასწავლებელს თემის შესახებ უკვე არსებული ცოდნის ხარისხის შემოწმების საშუალებას მისცემს და თემის ახსნისას დაეხმარება.

* **რეფლექსიის ეტაპზე**. თემის შესწავლის დასრულების შემდეგ შეიძლება ბავშვებს მიეცეს დავალება, რათა გაირკვეს, რომელი რთული თუ მარტივი კითხვები დარჩა უპასუხოდ. ეს მასწავლებელს დაეხმარება იმის გაგებაში, რომ თემა კარგად არ არის შესწავლილი და საჭიროა შემდგომი გაღრმავება.

მარტივი კითხვები	რთული კითხვები
ვინ არის ესპანეთის მეფე? რა არის ვერტიკალური გრადიენტი? სად მდებარეობს ქალაქი რომი? როდის მოხდა ყველაზე ძლიერი მიწისძვრა საქართველოში? რა ეწოდება მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებას დროსა და სივრცეში? მართალია თუ არა, რომ სიმაღლის მატებასთან ერთად ატმოსფეროს ტემპერატურა იკლებს?	**ახსენით, რატომ განსხვავდება მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა სხვადასხვა ქვეყანაში.** რატომ ფიქრობთ, რომ მოსახლეობის რაოდენობის ზრდა განპირობებულია სოციალური ფაქტორებით? რატომ მიგაჩნიათ, რომ ტურიზმის განვითარება გამოიწვევს ეკონომიკის ზრდას? რა განსხვავებაა ეკოტურიზმსა და აგროტურიზმს შორის? ეთანხმებით თუ არა იმ აზრს, რომ ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობა უნდა შეიცვალოს?



“კითხვების გვირილა” ანუ “ბლუმის გვირილა” (ბენჯამინ ბლუმი)

თითოეული სახის კითხვა მოიცავს აზროვნების ერთ-ერთ მხარეს.

1.	ცოდნა	მარტივი	ვინ? როდის? სად? როგორ?
2.	გაგება	დამაზუსტებელი	სწორად მესმის?
3.	გამოყენება	პრაქტიკული	როგორ შემიძლია შევასრულო?.. რა შეიძლება გაკეთდეს?..
4.	ანალიზი	ინტერპრეტაცია	რატომ?
5.	სინთეზი	შემოქმედებითი კითხვები	რა მოხდება, თუ?..
6.	შეფასება	შეფასებითი	რას ფიქრობთ ამის შესახებ?



მარტივი კითხვები: კითხვები, რომელებიც მოითხოვს ფაქტობრივი მასალის ცოდნას და ორიენტირებულია მეხსიერების მუშაობაზე. მარტივი კითხვები იწყება სიტყვებით: ვინ? რა? სად? როდის? როგორ? კითხვა შეიძლება დაიწყოს ასე: „დაასახელე...“ მაგალითად: სად მდებარეობს უდაბნოები? ან რა ფაქტორები აყალიბებს კლიმატს? როდის მოქმედებს ელ-ნინიო? სად წარმოიშობა იგი?

ცნობილია, რომ იმ ინფორმაციის ოთხმოცდაათი პროცენტი, რომელსაც მოსწავლე ფლობს, რამდენიმე წელიწადში დავიწყებას მიეცემა. მიუხედავად ამისა, მარტივი კითხვები უნდა გამოვიყენოთ, რათა ჩავრთოთ აზროვნების ის მხარე, რომელიც ფაქტობრივი ინფორმაციის დამახსოვრებაზეა პასუხისმგებელი.

რეკომენდაციები მარტივი კითხვებისთვის:

1. რას ნიშნავს ეს სიტყვა (ცნება, მოვლენა)? (მაგალითად რას ნიშნავს უდაბნო, კლიმატი, ელ-ნინო?)
2. რა ვიცით ამ სიტყვის შესახებ?
3. მოიფიქრეთ ფრაზები, რომლებიც ამ სიტყვას (ცნებას, მოვლენის ამსახველ ტერმინს) შეიცავს.

დამაზუსტებელი კითხვები, ჩვეულებრივ, იწყება სიტყვებით: „შენ ამბობ, რომ...“, „თუ სწორად მივხვდი...“. ეს კითხვები, როგორც წესი, დაისმის მაშინ, როცა სურთ დააზუსტონ გაგებული ინფორმაცია, მაგრამ გამომწვევი მიზეზების გარეშე. კითხვა შეიძლება დაიწყოს ასე: „ახსენი...“ მაგალითად: ესე იგი, შენ ამბობ, რომ უდაბნოების ჩამოყალიბებას განაპირობებს...; ესე იგი, შენი აზრით, ელ-ნინიო გავლენას ახდენს კლიმატის ცვლილებაზე... ან: ახსენი, რა განაპირობებს ელ-ნინიოს წარმოშობას; ახსენი, რა განაპირობებს უდაბნოების ჩამოყალიბებას. დამაზუსტებელი კითხვების დასმით ხაზს ვუსვამთ, რომ გვაინტერესებს მოსწავლის აზრი, რომ ჩვენთვის ღირებულია, რასაც ის ამბობს.

დამადასტურებელი კითხვებით მოსწავლე გაიგებს, თუ როგორ გამოხატა თავისი აზრი. ის განმარტავს და დააზუსტებს ნათქვამს.

განმარტებითი (ინტერპრეტაციული) კითხვები: როგორც წესი, იწყება კითხვით: რატომ? ხშირად ეს კითხვები შეიძლება უარყოფითად აღიქვან – როგორც იძულება, გაამართლონ ან უარყონ მოცემულობა, თუმცა სინამდვილეში ის მიზნად ისახავს მიზეზშედეგობრივი კავშირის დამყარებას. “რატომ სცვივა ხეებს ფოთლები შემოდგომაზე?” ინტერპრეტაციის საშუალებით მოსწავლეებს მივუთითებთ მოსაზრებათა და ქმედებათა მიზეზებისკენ. თუ ასეთ კითხვაზე პასუხი ცნობილია, ის ინტერპრეტაციულიდან მარტივ კითხვად გადაიქცევა. რატომ განსხვავდება

უდაბნოების ფლორა და ფაუნა ერთმანეთისგან? რატომ მოდის გობის უდაბნოში თოვლი? რატომ ყალიბდება ელ-ნინიო სამხრეთი ამერიკის სანაპიროებთან?

შემოქმედებითი კითხვები, როგორც წესი, იწყება სიტყვებით: „რა იქნებოდა, რომ...“ და მოიცავს ვარაუდის, პროგნოზის, ფანტაზიის ელემენტებს. შემოქმედებითი კითხვის დასმით ჩვენ ვცვლით გაკვეთილის მიმათულებას. ფანტაზია არ შეიძლება იყოს სწორი ან მცდარი.

კითხვა შეიძლება დაიწყოს ასე: „მოიფიქრე...“ როგორ შეიცვლება უდაბნოების ლანდშაფტები, კლიმატი რომ შეიცვალოს? როგორ შეიცვლება აზიის აღმოსავლეთი სანაპიროს კლიმატი ელ-ნინიოს მოქმედების შედეგად?

შეფასების კითხვები: მიზნად ისახავს განსაზღვრული მოვლენებისა და ფაქტების შეფასების კრიტერიუმებს. “რატომ არის რაღაც კარგი და რაღაც – ცუდი?” კითხვა შეიძლება დაიწყოს ასე: „გაგვიზიარე...“ მაგალითად: ელ-ნინიო დადებითი მოვლენაა თუ უარყოფითი? რატომ იწვევს ელ-ნინიო კლიმატის ცვლელებებს? უდაბნო ატაკამაზე რატომ ახდენს დადებით ზეგავლენას ელ-ნინიო? შეადარეთ ელ-ნინიო და ლა-ნინია.

პრაქტიკული კითხვები: თეორიისა და პრაქტიკის კავშირია. რა უნდა გაკეთდეს?... როგორ მოიქცეოდი მის ადგილას?.. პრაქტიკული კითხვები მიზნად ისახავს ურთიერთობის დამყარებას. კითხვა შეიძლება დაიწყოს ასე: „შემოგვთავაზე...“ რატომ უნდა ვიცოდეთ ელ-ნინიოს მოქმედების შედეგები? როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ეს ცოდნა? სად შეიძლება დავაკვირდეთ მუსონური ჰავის გავლენის არეალებს?

ნებისმიერ ასაკში ბავშვს შეუძლია მაგალითების მოყვანა თითოეული სახის კითხვისთვის. მოსწავლეებს უყვართ ამ ტიპის დავალებები, რომლებიც თამაშს ჰგავს. თამაში სწავლის პროცესის მამოძრავებელი ფაქტორია.

“ბლუმის გვირილა” შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამოწვევის ეტაპზე, როდესაც მოსწავლეები კითხვებს სვამენ და შემდეგ პასუხობენ, ან რეფლექსიის ეტაპზე შეძენილი ცოდნის განზოგადებისათვის.

გამოყენებული ინტერნეტსაიტები:

http://paidagogos.com

http://pedsovet.su

https://lib.1september.ru/2004/18/11.htm